




თიბისი დაზღვევა
TBC INSURANCE

დაზღვევის პირობები

ბანკომატიდან მიღებული ნაღდი ფულის
მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით
დაზღვეულის დაყარადების დაზღვევა

ATM/001/20



ბანკომატიდან მიღებული ნაღდი ფულის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაზღვეულის დაყაჩაღების დაზღვევის პირობები N ATM/001/20

ბარმინთა მანარობა

მზღვეველი - სს „თიბისი დაზღვევა“;

დაზღვევი - სს „თიბისი ბანკი“;

დაზღვეული - სადაზღვევო პოლისში დასახელებული ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს სს „თიბისი“ ბანკის მოქმედ საგადახდო საბანკო პლასტიკურ ან ელექტრონულ ბარათს;

მოსარგებლე - დაზღვეული;

სადაზღვევო პროდუქტი - მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის/დაზღვეულისთვის შეთავაზებული წინამდებარე პირობებისა და დამზღვევთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი სადაზღვევო მომსახურება

სადაზღვევო თანხა ანაზღაურების ლიმიტი - წინამდებარე პირობების მე-3 მუხლში მითითებული თანხის მაქსიმალური ოდენობა ანაზღაურების ჯამური ლიმიტი ერთ დაზღვეულზე/მოსარგებელზე, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევისას გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება მოსარგებელზე.

ქველიმიტი - ერთი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ერთ დაზღვეულზე/მოსარგებელზე გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა.

სადაზღვევო პერიოდი - დროის შუალედი, რომლის განმავლობაში მოქმედებს სადაზღვევო დაფარვა. სადაზღვევო პერიოდი შეადგენს 1 (ერთი) თვეს და ექვემდებარება ავტომატურ განახლებას, მზღვეველსა და დამზღვევს შორის დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ვადის მოშლამდე ან ბარათის ვადის ამოწურვამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება.

დაზღვეული ქონება / დაზღვევის ობიექტი - დაზღვევის ტერიტორიაზე განთავსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ნებისმიერი კომერციული ბანკის (შემდგომში „ბანკი“) თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობიდან, (შემდგომში „ბანკომატი“), დაზღვეულის მიერ საკუთარი ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფული;

დაზღვევის ტერიტორია - საქართველო (ოკუპირებული ტერიტორიებისა გარდა), რომლის ფარგლებშიც მოქმედებს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაფარვა.

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი მოვლენა, რომლის შედეგად დაზღვეულს წარმოეშობა სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

დაზღვეული რისკი - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი მოვლენა ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის დაზღვეულ რისკს წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოვლენა - ბანკომატის მეშვეობით დაზღვეულის მიერ საკუთარი ანგარიშიდან გამოტანილი ნაღდი ფულის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაზღვეულის დაყაჩაღება მესამე პირის მიერ.

ფრანშიზა - თანხა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი თავისუფალია სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისგან და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ თანხას თითოეულ და ყოველ შემთხვევაზე.

სადაზღვევო პრემია - დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს.

მესამე პირი - პირი, რომელიც არ წარმოადგენს დამზღვევს, დაზღვეულს (მოსარგებლეს);

ოჯახის წევრი - დედა, მამა, მეუღლე, და, ძმა, შვილი, გერი, ბებია, ბაბუა, შვილიშვილი, შვილთაშვილი, დაზღვეულთან ერთად ერთ ქვეშ მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირი.

ყაჩაღობა - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული - თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ზოგადი დახუჯაბები

მზღვეველი ვალდებულია, სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ და სადაზღვევო თანხის/ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში, დაფარული რისკის ხდომილების შედეგად სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, აუნაზღაუროს (გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება) მოსარგებლეს ზარალი.

სადაზღვევო დაფარვა მოქმედებს მხოლოდ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დაზღვევის ტერიტორიაზე.

სადაზღვევო შემთხვევად ითვლება მხოლოდ ის მოვლენა, რომელიც დადგება სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან არაუგვიანეს სადაზღვევო პერიოდის დასრულებამდე.

1. დაზღვეული რისკი

- 1.1. მესამე პირის მიერ დაზღვეულის დაყაჩაღება საკუთარი ანგარიშიდან ბანკომატიდან გამოტანილი ნაღდი ფულის (დაზღვეული ქონება/დაზღვევის ობიექტი) დაუფლების მიზნით;
 - წინამდებარე პირობების მიზნებისთვის, სადაზღვევო შემთხვევად განიხილება დაყაჩაღება, რომელიც დადგება დაზღვეულის მიერ ბანკომატიდან ნაღდი თანხის გატანის მომენტიდან:

ა) არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში ან

ბ) არაუგვიანეს 60 (სამოცი) წუთის განმავლობაში, თუ კი სადაზღვევო რისკის ხდომილება დადასტურებდა სადაზღვევო შემთხვევის პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოსათვალთვალო კამერ(ებ)ით

2. დაზღვევას არ ექვემდებარება:

- 2.1. აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ხელნაწერები, ფოტოსურათები, ნეგატივები, სქემები, ნახაზები და სხვა დოკუმენტები, ბუღალტრული, საქმიანი წიგნები და მასში არსებული ინფორმაცია;
- 2.2. მოდელები, მაკეტები, ნიმუშები, ფორმები და მსგავსი;
- 2.3. ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, ძვირფასი ქვები, ანტიკვარიანი, საკოლექციო ექსპონატი ასევე ნახატები, სურათები, სკულპტურები და სხვა ხელოვნების ნიმუშები;
- 2.4. მატარებლები, კომპიუტერული პროგრამები, ელექტროინფორმაციის დროებითი შენახვის და გადატანის საშუალებები;
- 2.5. საბრძოლო მასალა და სარეწი იარაღები, ფეთქებადი ნივთიერებები;
- 2.6. ცხოველები, ფრინველები;
- 2.7. კვების პროდუქტები;
- 2.8. თანხა რომელიც დაზღვეულის მიერ ბანკომატიდან არ იქნა გამოტანილი;
- 2.9. ქონება რომელიც არ ეკუთვნის დაზღვეულს (მათ შორის შესანახად მიზარებული ქონება);
- 2.10. დაზღვეულის განზრახი ან/და თაღლითური ქმედება;
- 2.11. დაყაჩაღების პერიოდამდე და პერიოდის შემდეგ მომხდარი შემთხვევები, გარდა დაზღვევის წინამდებარე პირობების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 2.12. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან/და გარდაცვალება;
- 2.13. დაზღვეულის დაყაჩაღება მისი ოჯახის წევრის მიერ;
- 2.14. ნებისმიერი პასუხისმგებლობა მესამე პირების მიმართ;

3. სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურების გამოთვლის წესი

სადაზღვევო შემთხვევის დროს მზღვეველის მიერ ანაზღაურება ხორციელდება შემდეგი პრინციპის შესაბამისად:

- 3.1. სადაზღვევო შემთხვევის ხდომილებისას – მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა საკუთარი ანგარიშიდან ბანკომატიდან გამოტანილი ნაღდი ფულის ფარგლებში, სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების შედეგად გამოწვეული ფინანსური დანაკარგის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა/სადაზღვევო ლიმიტისა და ქველიმიტისა. ჯამური სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ჯამური ლიმიტი ერთ დაზღვეულზე/მოსარგებლზე შეადგენს:
 - 3.1.1. სს „თიბისი ბანკის“ Mass სეგმენტის კლიენტებისთვის 1,000.00 (ერთი ათასი) ლარს სადაზღვევო პერიოდზე, მაგრამ არა უმეტეს 300.00 (სამასი) ლარისა ერთ სადაზღვევო შემთხვევაზე.
 - 3.1.2. სს „თიბისი ბანკის“ Status სეგმენტის კლიენტებისთვის 1,000.00 (ერთი ათასი) ლარს სადაზღვევო პერიოდზე, მაგრამ არა უმეტეს 400.00 (ოთხასი) ლარისა ერთ სადაზღვევო შემთხვევაზე.
 - 3.1.3. სს „თიბისი ბანკის“ VIP სეგმენტის კლიენტებისთვის 1,000.00 (ერთი ათასი) ლარს სადაზღვევო პერიოდზე, მაგრამ არა უმეტეს 500.00 (ხუთასი) ლარისა ერთ სადაზღვევო შემთხვევაზე.
- 3.2. თუ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას, სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი შემცირდება გადახდილი ანაზღაურების ოდენობით. სადაზღვევო თანხა/ანაზღაურების ლიმიტი ითვლება შემცირებულად სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღიდან.

4. მხარეთა ვალდებულებები სადაზღვევო შემთხვევის დროს

- 4.1. სადაზღვევო შემთხვევის დროს დაზღვეული ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია (112) და შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ცხელ ხაზზე - 2 42 22 22 ხდომილებიდან არაუგვიანეს:

- 12 (თორმეტი) საათისა, მაგრამ
 - 90 (ოთხმოცდაათი) საათისა თუ დაზღვეულისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების გამო უფრო ადრე ვერ ხერხდება.
- 4.2. დაზღვეული ვალდებულია შეასრულოს მზღვეველის წარმომადგენლისგან მიღებული მითითებები სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით.
- 4.3. დაზღვეული ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:
- ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დეტალური აღწერით;
 - ბ) სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტაცია/ცნობა/დადგენილება, რომლითაც მზღვეველი მოახდენს სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენას;
 - გ) საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული ტრანზაქციის დამადასტურებელი ამონაწერი/ცნობა დაზღვეულის ანგარიშიდან, რომელიც ადასტურებს დაზღვეულის მიერ განხორციელებულ ტრანზაქციას და მის დროს;
 - დ) კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი ყველა სხვა დაზღვეულისთვის ხელმისაწვდომი საბუთი, რომელიც აუცილებელია შემთხვევის გარემოებების დასადგენად და მიყენებული ზიანის დასაანგარიშებლად.
- 4.4. იმ შემთხვევაში თუ დაზღვეული არ ასრულებს 4.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობებს, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე;
- 4.5. მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს დაზღვეულის მიერ წინამდებარე პირობების 4.3 პუნქტში ჩამოთვლილი საბუთების წარმოდგენა;
- 4.6. მზღვეველის მიერ ზარალის დარეგულირება და ზარალის ანაზღაურებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება დაზღვეულის მიერ მზღვეველისთვის ზარალის რეგულირებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაციის მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.7. ზარალის ანაზღაურება გიცემა მზღვეველის და დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 4.8. მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების თანხას გადარიცხავს დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე;
- 4.9. თუ შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, მზღვეველი იღებს ვალდებულებას შეატყობინოს დაზღვეულს უარი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე შესაბამისი მიზეზის მითითებით ყველა მოთხოვნილი საბუთის მიღებიდან 14 (თოთხმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- 4.10. მზღვეველი უფლებამოსილია გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა, იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის/მოსარგებლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ.

5. სუბროგაციის წესი

- 5.1. მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურებისათვის გადახდილი თანხების ფარგლებში მასზე გადადის დაზღვეულის უფლება ზარალზე პასუხისმგებელი მესამე პირისაგან მოითხოვოს შესაბამისი ანაზღაურება. ასეთი უფლების არსებობის შემთხვევაში, დაზღვეული ვალდებულია სრულად ითანამშრომლოს მზღვეველთან ამ უფლების გამოყენების/რეალიზების მიზნებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ან მოითხოვოს გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების უკან დაბრუნება.

6. გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევით არ ანაზღაურდება ზიანი, რომელიც გამომდინარეობს ან დაკავშირებულია შემდეგ მოვლენებთან:

- 6.1. ომი (გამოცხადებული და გამოუცხადებელი), შემოჭრა, ნებისმიერი სახის საომარი ქმედებები და მათი შედეგები, სამოქალაქო ომი, ამბოხება, სამოქალაქო მღელვარება, შეიარაღებული აჯანყება, რევოლუცია, ნებისმიერი აღიარებული ან არაღიარებული ხელისუფლების შეიარაღებული ძალების თავდასხმა; სამხედრო ღონისძიებები; რევოლუცია, ამბოხი, ტერორისტების (მათთან დაკავშირებული პირების) ქმედებები; ასევე მათ ჩახშობაზე მიმართული ხელისუფლების ქმედებები, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობა, გაფიცვები;
- 6.2. შინაური ცხოველების/ფრინველების, ქვეწარმავლების, მწერების, მღრღნელების ან სხვა მავნებლების მიერ გამოწვეული დაზიანება;
- 6.3. დაზიანება გამოწვეული ნარკოტიკული/ფსიქოტროპული/ალკოჰოლური ნივთიერებათა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაზღვეულის ან მისი ოჯახის წევრის ქმედებით;
- 6.4. სადაზღვევო პერიოდის ძალაში შესვლამდე არსებული შემთხვევები და ასევე სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე დაფიქსირებული მოვლენით/გარემოებებით გამოწვეული ზიანი;
- 6.5. ზიანის პროვოცირება, ინსცენირება ან გაყალბებული დოკუმენტების წარმოდგენა;
- 6.6. დაზღვეულისგან განსხვავებული რისკით გამოწვეული ზიანი;

6.7. დაზღვეულის ბარათით ბანკომატიდან ნაღდი თანხის მესამე პირის ან ოჯახის წევრის მიერ გამოტანა.

6.8.

7. სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა და დაზღვევა დაზღვეულის მიმართ, გზღვევლის ინიციატივით, შესაძლოა შეწყდეს შემდეგ შემთხვევაში:

7.1. დაზღვეულმა განზრახ გამოიწვია საფრთხის ზრდა;

7.2. დაზღვეულის მიერ დამალულია, ან არასწორადაა მოწოდებული, ან მოწოდებულია გაყალბებული ინფორმაცია – ასეთ შემთხვევაში მზღვეველი იტოვებს უფლებას უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე და შეწყვიტოს დაზღვევა კონკრეტული დაზღვეულის მიმართ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე დამზღვევისთვის და დაზღვეულისთვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე;

7.3. მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება (ვალდებულების შესრულების მომენტიდან) (თუ ამოიწურა (მზღვეველმა აანაზღაურა) სადაზღვევო თანხა / ანაზღაურების ლიმიტი)

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

8. ორმაგი დაზღვევა

8.1. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის დროს აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ქონება/დაზღვევის ობიექტი წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ დაზღვეულ რისკზე დაზღვეულია აგრეთვე სხვა სადაზღვევო პოლისით, მზღვეველი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი პოლისის საფუძველზე დაზღვეულს/მოსარგებლეს აუნაზღაუროს ზარალი ჯამურ სადაზღვევო თანხაში/ანაზღაურების ლიმიტში თავისი წილის პროპორციულად.

8.2. ორმაგი დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველები დამდგარ ზარალში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

9. კონფიდენციალობა

9.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა, წინამდებარე პირობებითა და მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმებების პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. მზღვეველი უფლებამოსილია, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დაამუშაოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) დაზღვეულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით; გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, მათ შორის ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

9.3. მზღვეველი ასევე უფლებამოსილია, მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.

10. დავათა გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე პირობებთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ საქართველოს სასამართლოს, რომელიც დავას განიხილავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.